850137

ადამიანი და სახელმწიფო საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში

ყოველ სახელმწიფოს გააჩნია გარკვეული ტერიტორია და მოქალაქეები. სახელმწიფომ კი უნდა უზრუნველყოს ამ მოქალაქეთა დაცულობა და კეთილდღეობა, თუმცა მოქალაქეებსაც გააჩნიათ გარკვეული უფლება-მოვალეობები. ადამიანი ჩართული უნდა იყოს ქვეყნის განვითარებაში და მან თავისი წვლილი უნდა შეიტანოს სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის, რაც უკუკავშირის სახით მასზე გარკვეულ ცვლილებებს იწვევს.

ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული მოქალაქის შესაძლებლობა დაიკმაყოფილოს თავისი საჭიროებები. ზოგიერთი მოქალაქე გაიცნობს უფლება-მოვალეობებს, და თავისი საჭიროებების დაკმაყოფილებაზე არის ორიენტირებული. მოქალაქე, რომელიც არ ასრულებს დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს, ის აყენებს ზიანს ქვეყნის ეკონომიკაზე, რაც იწვევს საბაზრო ეკონომიკის და მოქალაქეთა ხელფასებში გარკვეულ ცვლილებებს.

ადამიანები ხშირად წუწუნებენ, რომ საკმარისი ფული არ აქვთ და ამის გამოსასწორებლად არალეგალურ გზებს მიმართავენ, იმის მაგივრად, რომ გამოიყენონ თავიანთი უფლება: ჩაერთონ სახელმწიფოს მართვაში. უკვე არალეგალური ქმედება, რომელიც მიმართულია მოქალაქის შემოსავლის გაზრდაზე, გამოიწვევს დამანგრეველ შედეგს ქვეყნის ეკონომიკაზე. როდესაც მოქალაქეთა ხელფასები იკლებს კვლავ მათი უნარიანობა შეიძინონ ესა თუ ის ნივთი, რაც იწვევს ქვეყანაში დაბალი სიცოცხლის ჩამოყალიბებს.

დემოკრატიულ საზოგადოებაში ერის კერძო საკუთრებაც გარანტირებულია, სადაც გამოიწვია იმპორტირებული საქონლის ფასების ზრდა. როგორც ფასები იზრდება, ისევე შემცირდება ადამიანთა რიცხვი, გაყიდული საქონლის რაოდენობა, ვერც შემოსავალი, ქვეყნის ბიუჯეტი.

[illegible] და მოქალაქეთა შესაძლებლობა დააკმაყოფილონ თავიანთი სურვილები. დღესდღეობით საქართველოში იმპორტის წილი უფრო მეტია ვიდრე ექსპორტის, მაგალითად ბიუჯეტში საქონლის იმპორტის გადასახდელი ბაჟი და გაყიდული საქონლის მოგების ნაწილი მიდის, თუმცა სახელმწიფოსთვის ექსპორტი უფრო მომგებიანია. ევროკავშირთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ექსპორტის რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა, რაც ჩვენი სახელმწიფოს ბიუჯეტს და ეკონომიკურ მდგომარეობაზე კარგად აისახება. ეს გამოიწვევს ქვეყნის პოპულარობის გაზრდას სხვა ქვეყნებში, ტურისტთა რაოდენობის მატებას, გაიყიდება უფრო მეტი საქონელი, ბიუჯეტში შესული თანხა მოიმატებს, დასტაბილურდება ვალუტის კურსი, მოქალაქეთა ხელფასები მოიმატებს და გაიზრდება მათი უნარი დააკმაყოფილონ თავიანთი მოთხოვნილებები, რაც გამოიწვევს ქვეყანაში მშვიდ და წყნარ მდგომარეობას.

ასე რომ, როდესაც ადამიანები შეასრულებენ ჩვენს უფლება-მოვალეობებს, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა კარგი იქნება, საბაზრო ფასები დასტაბილურდება და ჩვენი სახელმწიფო გახდება ძლიერი. ამ ყოველივეს შემდეგ კი შევძლებთ თამამად ვთქვათ ჩვენი საყვარელი გამოთქმა: „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ." როდესაც მოქალაქე სინდისიერად, კანონის ფარგლებში მოქმედებს, სახელმწიფო ძლიერია, ხოლო საბაზრო ეკონომიკა დამოუკიდებელი. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახელმწიფო დამოკიდებულია ბიუჯეტზე, ბიუჯეტი საბაზრო ეკონომიკაზე, საბაზრო ეკონომიკა კი ადამიანზე.